პროგრამის აღწერა	(აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე, პედაგოგი, საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, მოსწავლე) საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან - 70001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას; განხორციელება ბანაკში დასვენების პროგრამა; პროგრამის ფარგლებში, ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტები და საგანმანათლებლო აქტივობები.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის განხორციელება: - ხელს შეუწყობს განათლების სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების ზრდას, გაზრდის მათ მოტივაციას. - პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, დაეხმარება უმაღლესი განათლების მიღებაში.

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 04			321.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	პროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ ბაზაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგნობრივი და კულტურულ-შემეცნებითი მიმართულებები. 2024 წლის მონაცემებით ცენტრში შესაბამისი განათლებას იღებს საშუალოდ 80 მოსწავლე. ცენტრში დასაქმებულია 27 შტატისანი და 7 შტატგარეშე თანამშრომელი.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და მოზარდთა შესაძლებლობების გამოვლენისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. პროფილური/საგნობრივი წრეების ხელშეწყობა და მოსწავლე-ახალგაზრდებისთვის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4183,0 ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4,183.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1,665.4
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1,576.1
05 01 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	604.3
05 01 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი	351.9



05 01 01 03	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	218.6
05 01 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა	301.2
05 01 01 05	ა(ა)იპ რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“	100.0
05 01 02	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	89.3
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2,404.3
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1,807.8
05 02 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	1,253.4
05 02 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა	299.3
05 02 01 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმინისტრაციო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	143.5
05 02 01 04	ა(ა)იპ მუზეუმის ხელშეწყობა	111.6
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	107.0
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	183.6
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0
05 02 05	გაზეთის მომსახურების დაფინანსება	15.0
05 02 06	ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი	241.0
05 03	ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	113.3

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01			1576.1
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““. ა(ა)იპ რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“	
	ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 5 სპორტული სკოლა, ესენია: - ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; - ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; - ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; - ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““. -ა(ა)იპ რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“; სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჩოხიანი ჭიდაობა (სამბო-ძიუდო). სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 200 ბავშვი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ჭიდაობის კლუბ ფალავანში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჯაბუკები, ჯაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 63 ბავშვი. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში,	

	სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ სადარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ამბროლაურის საცურაო აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 600 ადამიანი. აუზს გააჩნია როგორც ღია ისე დახურული აუზი. საფეხბურთო კლუბ რაჭაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 6 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 120 ბავშვი. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში. ა(ა)იპ რაჭა- ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“ში ვარჯიშობს..280 ბავშვი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 01			604.3
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი; ჭადრაკი; რაგბი; კარატე; მაგიდის ჩოგბურთი და ფრენბურთი ჩოხოსანთა ჭიდაობა, მშვილდოსნობა, ტანვარჯიში, სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლებოდა 200 ბავშვი. სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სასპორტო სკოლაში დასაქმებულია ჯამში 46 ადამიანი, მათ შორის, 29 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 19 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.		

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 02			351.9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“. გამოყოფილი თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ჭიდაობის განვითარებას. კლუბში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 63 ბავშვი. კლუბში ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ სადარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებები და სხვა ხარჯები.		
	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;		



პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	- რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება; - მეტი მოზარდის ჩართვა ჭიდაობაში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ჭიდაობით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.
---	---

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 03			218.6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“. აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 600 ადამიანი. მათ შორის, საცურაო აუზი მომხმარებლებს, ასევე სთავაზობს მასაჟის მომსახურებასაც. აუზს გააჩნია როგორც ღია ისე დახურული აუზი. ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 16 ადამიანი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე ტექნიკურ პერსონალს.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების და მოქალაქეების ფიზიკური გაჯანსაღება; 6 წლის ასაკიდან ყველა მოქალაქის მაქსიმალური ჩართულობა ცურვის შესწავლა-დაოსტატებაში; მოქალაქეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მათში ცურვისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე აუზით მომსახურეთა გაზრდილი რაოდენობა.		

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 04			301.2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 6 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 120 ბავშვი. კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკიპირების და სხვა ხარჯები.280		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 01			1253.4



ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთ თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იანვანა“. 2025 წელს დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება როგორც ადგილობრივი, ასევე გაცვლითი ღონისძიებები. ანსამბლების „იანვანა“, „საგალობელი“, ჯგუფი ‘art new life’-ის სოლო კონცერტები. დაგეგმილია თოჯინების თეატრის ორი პრემიერა და სახალხო თეატრის ორი პრემიერა.სპექტაკლების ჩვენება როგორც ადგილობრივად, ასევე სხვადასხვა რეგიონებში. მუნიციპალიტეტის 29 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 80451 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 3000 მოსახლე. 2025 წელს ბიბლიოთეკებში მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე) ჩატარდება 10 სხვადასხვა სახის ღონისძიება. კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლებისმონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის კულტურულ იმემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს. წლის განმავლობაში სამსახური ახორციელებს ძეგლების მონიტორინგს, ფოტოფიქსაციას და აწვდის შესაბამის ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს. საესტრადო ჯგუფი, სახალხო ანსამბლი საგალობელი და ფოლკლორული ანსამბლი იანვანა მონაწილეობას ღებულობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 02			299.3
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სახელოვნებო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო (20 მოსწავლე), ხალხური საკრავების და გიტარის (60 მოსწავლე), საგუნდო და საესტრადო ვოკალის (40 მოსწავლე), ქართული ხალხური სიმღერების (14 მოსწავლე), კლასიკური, თანამედროვე და ქართული ცეკვების (187 მოსწავლე) მიმართულებები. სახელოვნებო სკოლაში სახელოვნებო სახელოვნებო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 321 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 16 თანამშრომელს.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სახელოვნებო სკოლის ქვეპროგრამის მიზანია: ფორტეპიანოს,ხალხური საკრავების,საესტრადო სიმღერების, ქართული და თანამედროვე კლასიკური ცეკვების შესწავლა ბავშვებსა და მოზარდებში. მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული, ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა. მოსალოდნელი შედეგი: სახელოვნებო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწესებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.		



კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 03			143.5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმზრდელო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“	
ქვეპროგრამის აღწერა		სქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 85 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 13 თანამშრომელს. ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები: თექა, ჭრა-კერვა, ტიხრული მინანქარი, ხალიჩა-ფარდაგი, ხატწერა.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 04			111.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მუზეუმი. მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 872 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 600-ს. მუზეუმში წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე), ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. მოსახლეობის ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.	

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			107,2
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
		კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა, ესენია: - სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა; - საპატიო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა; სადღესასწაულო ღონისძიებების ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო/კულტურული	



	ლონისძიებების აღნიშვნას, რომელთა ორგანიზებაც ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის/რეგიონის პოპულარიზაცია/ცნობადობის ამაღლებას, ადგილობრივი არტისტების კულტურული პროდუქტების საზოგადოებისთვის გაცნობას და სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება: დამოუკიდებლობის დღისადმი (26 მაისი) მიძღვნილი ღონისძიება; ახალი წლის ღონისძიება. ფუძეობა. საპატიო წოდების მინიჭების ქვეპროგრამა ითვალისწინებს 3 სახის წოდების მინიჭების ღონისძიებების დაფინანსებას, ესენია: ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდებების მინიჭება; კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ჯილდოების გადაცემა; ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდების მინიჭება. ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდება ენიჭება სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება მუნიციპალიტეტისა და/ან ქვეყნის წინაშე. გააჩნია განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების და სხვა მიმართულებით გამორჩეული მიღწევები. კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდების მინიჭების ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს მოღვაწეებისთვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდება წლის განმავლობაში მიენიჭება არაუმეტეს 3 აქტიურ და ინიციატორ მოქალაქეს. პროგრამის არსი მდგომარეობს დევიზში: "ჩემი პასუხისმგებლობაა არა მხოლოდ ის, რასაც ვაკეთებ, არამედ ისიც, რომ შემდეგ და არ გავაკეთე" პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმატებული სპორტმენების დაჯილდოება ფულადი ფორმით. ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა; ღირსეული, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების დაფასება, მხარდაჭერა და სტიმულირება. საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირება. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრის“ ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 06			241.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“		
პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“. ცენტრი უზრუნველყოფს საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს ტურისტულ-საინფორმაციო ბუკლეტებს და რუკებს, ორგანიზებას უწევს ტურისტულ პრომო კლიპების გადაღებას. ცენტრი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა გამოფენებში, სადაც წარადგენს და პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალურ პროდუქციას და წარმოაჩენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ცენტრი პერიოდულად აწყობს შეხვედრებს ტურისტულ კომპანიებთან, აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ. „ტურისტული ცენტრი“ შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით. ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“ დასაქმებულია 17 თანამშრომელი.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკო-სისტემისა და ბუნებრივი ღირსესანიშნაობების შენარჩუნებით. ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ტურისტების ნაკადის გაზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებსა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.		



კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03			113,3
პროგრამის განმახორციელებელი		განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა		პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაციასა და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ ძირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემა. პროგრამა შედგება შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან: - ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა; - მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამა; - მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა. ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შეძენას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას; მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება მარათონი, ყველა მონაწილეს გადაეცემათ საიმიჯო მაისური, კეპი, სიგელი. გამარჯვებულებს (პირველ, მე-2 და მე-3 ადგილოსანი ვაჟი და გოგონა, უხუცესი და ნორჩი მონაწილე) დამატებით გადაეცემათ ფულადი პრიზი (100 ლარი); მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დამზადდება უფასო მგზავრობის ბარათები; განხორციელდება სატენდერო შესყიდვა ბენეფიციართა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის მიზნით (200-220 ბენეფიციარის ტრანსპორტირება). პროგრამის ფარგლებში, ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა; ახალგაზრდობისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებითი, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება; ახალგაზრდობისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.	

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1555,6 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2025 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,555.6



06 01	ჯანმრთელობის დაცვა	545.3
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	179.0
06 01 03	ხანგრძლივად მოვადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	43.6
06 01 04	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	149.0
06 01 06	ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	60.7
06 01 07	ქირურგიული ოპერაციების საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	113.0
06 02	სოციალური დაცვა	1,010.4
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და საადდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	55.0
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	40.7
06 02 03	მიცვალეულთა სარიტუალო მომსახურება	1.5
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 0 დან 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება	245.5
06 02 05	ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება	45.1
06 02 06	სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება	86.6
06 02 07	მარჩენალდაკარგული ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	25.9
06 02 08	უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით ან ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა	228.2
06 02 09	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	9.3
06 02 10	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	20.6
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება	84.0
06 02 12	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში საოჯახო მევენახეობა-მეღვინეობის და ძველი რაჭული ვაზის ჯიშების აღდგენა/განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	112.9
06 02 13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	55.0

კოდი	პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 01			179.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
		თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო-საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინფექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო,	



პროგრამის აღწერა	სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი); 2. იმუნიზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 5. თამბაქოს მოწევის აკრძალვის მონიტორინგი; 6. მუნიციპალიტეტში მცხოვრები C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი ბენეფიციარების მოძიებისა და შემდგომ კონფირმაციულ კვლევებში ჩართვის პროგრამა.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება .

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 03			43.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტში ბევრია მედიკამენტების მომხმარებელი ხანგრძლივად მოავადე პირები, რომელთაც მედიკამენტების ღირებულებიდან გამომდინარე არ აქვთ მათი შეძენის ფინანსური საშუალება. ქვეპროგრამით მოსარგებლეა ეპილეფსიით, პარკინსონით, გლავკომით, ფსორიაზით, პოლიათროზით, პოლიართრიტით, კუნთოვანი დისტროფიით, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (თრომბოციტოპენიური პურპურა), მიასთენიით, ციროზით, ინსულტით (მოძრაობის მკვეთრი მოშლა), შაქრიანი დიაბეტით, ფარისებრი ჯირკვლით გამოწვეული დაავადებებით (დიფუზიური ტოქსიკური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, აუტოიმუნური თირეოიდიტი, ჰიპოთირეოზი), ბრონქული ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობეტრუქციული დაავადებით (ფკოდ) ხანგრძლივად მოავადე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსი. ასევე ფინანსდება გულის უკმარისობის III და IV კლასის დაავადების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს მედიკამენტებით მკურნალობას; თვალის დაავადების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს თვალის ინექციას. დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს. პაციენტების მედიკამენტური მკურნალობა დაფინანსდება წლიური 200 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე; (დიაბეტის შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა). სახელმწიფო გულის უკმარისობის III და IV კლასის დაავადების მქონე პირების მკურნალობა დაფინანსდება წლიური 400 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე; თვალის დაავადების შემთხვევაში თვალის ინექცია დაფინანსდება წლიური 1000 ლარიანი ლიმიტით) ქვეპროგრამით მოსარგებლეა ფენილკეტონური დაავადების მქონე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი დიეტოთერაპია. დიეტოთერაპიისათვის აუცილებელი სპეციალური უცილო პროდუქტი დაფინანსდება წლიური ლიმიტით არაუმეტეს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარისა.	

	პროგრამა გათვლილია დაახლოებით 105 ბენეფიციარზე.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ხელმისაწვდომობის გაზრდა მედიკამენტებზე; ბავშვის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი დიეტური კვებითი მკურნალობის ხელშეწყობა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 04			149,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ონკოლოგიური ავადმყოფების დიდი რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის მკურნალობა, რაც საკმაოდ ძვირადღირებულია. ქვეპროგრამით მოსარგებლეა ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით ესაჭიროება ქირურგიული ოპერაცია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, ჰორმონოთერაპია, მედიკამენტური მკურნალობა, სამედიცინო კვლევები და სხვა. ბენეფიციარი ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით წლიური 3000 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე. წლიური ლიმიტი ონკოლოგიურ პაციენტებზე შეადგენს არაუმეტეს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარს (პაციენტს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს პროგრამის სხვა მუხლით). ქვეპროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა, უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა და არჩეული, აყვანილი ექიმის ჰონორარი. პროგრამა გათვლილია დაახლოებით 130 ბენეფიციარზე.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა; ჯანმთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 06			60,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
		1. დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირს (გარდა 0-18 წლამდე ბავშვებისა), რომელსაც ესაჭიროება ამბულატორიულ-მაღალტექნოლოგიური მომსახურება.	



ქვეპროგრამის აღწერა	2. ქვეპროგრამით დაფინანსდება შემდეგი მომსახურებები: ა) კომპიუტერული ტომოგრაფია; ბ) მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფია; გ) კორონაროგრაფია/ანგიოგრაფია; დ) ელასტოგრაფია; ე) დოპლეროგრაფია; ვ) აორტოგრაფია ზ) ფენილკეტონური დაავადების დასადგენად გენის კვლევა მუტაციებზე. თ) თვალის ტომოგრაფიული კვლევა; ა) მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, „თ“, ქვეპუნქტების შემთხვევაში ერთ ბენეფიციარზე წლიური ლიმიტით ჯამში არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა; ბ) მე-2 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში ერთ ბენეფიციარზე წლიური ლიმიტით ჯამში არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა; გ) მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში - წლიური ლიმიტით არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში თითოეულ ბენეფიციარზე დაფინანსება განისაზღვროს არაუმეტეს 1300 (ათას სამასი) ლარით (გარდა „ზ“ პუნქტისა). 3. ქვეპროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება საზღვარგარეთ ჩასატარებელი და უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა. პროგრამა გათვლილია დაახლოებით 110 ბენეფიციარზე.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა; ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 07			113.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
		მოსახლეობის დიდ ნაწილს ხშირ შემთხვევაში ესაჭიროება ოპერაციული მკურნალობა, რომელიც ძვირადღირებულია და არ არის ხელმისაწვდომი, რაც იწვევს მათი ჯანმრთელობის გაუარესებას; ქვეპროგრამით მოსარგებლე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირი რომელსაც ავადობის დიაგნოზით ესაჭიროება ქირურგიული მკურნალობა. 1.დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირს, რომელსაც ჩაუტარდა ან ესაჭიროება ქირურგიული ოპერაცია და ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდა არ აღემატება 3000 ლარს. მოსარგებლე ფინანსდება, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, წლიური 1000 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე.	



ქვეპროგრამის აღწერა	2.დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირს, რომელსაც ჩაუტარდა ან ესაჭიროება ქირურგიული ოპერაცია და ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდა აღემატება 3000 ლარს. მოსარგებლე ფინანსდება, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, წლიური 2000 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე. 3.აღნიშნული ფინანსური დახმარება ასევე გაიცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტებზე, რომელთაც შეჩერებული აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. ქვეპროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება საზღვარგარეთ მკურნალობა, უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა და არჩეული, აყვანილი ექიმის ჰონორარი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა; ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01			55.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		1 - ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების მომსახურება, რომელიც გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან მარტოხელა პენსიონერს (რომელსაც არ ჰყავს ოჯახის წევრი) რომლის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 65 000-ს. 2 - ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირზე/ოჯახზე, საახალწლოდ და სააღდგომოდ გაიცემა სასურსათო პაკეტი არაუმეტეს 100 ლარისა, რომელთაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში აქვს 10 001-მდე სარეიტინგო ქულა. 3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ განსაკუთრებით მძიმე სოციალური - ეკონომიკური პირობების მქონე პირებს/ოჯახებს (შშმ პირი, მარტოხელა მშობელი, მარტომცხოვრები და ა.შ.), რომელთაც საახალწლოდ და სააღდგომოდ არ გადაეცემათ სასურსათო პაკეტი, წლის განმავლობაში ერთჯერადად მიიღებენ საკვებ პროდუქტებს არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა. პროგრამა გათვლილია სავარაუდოდ 150 ბენეფიციარზე.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით მოსარგებლე ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. შეჭირვებულთა ოჯახებისათვის სადღესასწაულო განწყობის შექმნა.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 02			40,7
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	



ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება: 1. ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. დახმარება გაიცემა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ ახალშობილის მშობელზე, რომლის ახალშობილიც დარეგისტრირდა ამავე მუნიციპალიტეტის მცხოვრებლად. ახალშობილზე გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 500 ლარის ოდენობით, ტყუპის შეძენის შემთხვევაში - 1200 ლარის ოდენობით. 2. ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. დახმარება გაიცემა ახალ დაქორწინებულ პირზე, რომელიც ირიცხება სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში და მისი სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს, გაიცემა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 1000 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამით სარგებლობისათვის აუცილებელი წინაპირობაა: ა) ქორწინება (ფაქტობრივი თანაცხოვრება) შედგეს ფულადი დახმარების მიღების თაობაზე განცხადების შემოტანამდე არაუადრეს 3 თვის პერიოდში; ბ) განმცხადებელი რეგისტრირებული უნდა იყოს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ჰქონდეს მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი. პროგრამით სავარაუდოდ ისარგებლებს 85 ბენეფიციარი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ახალშობილთა და ახლად დაქორწინებული ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.

